**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 156 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 156

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## რედაქციისაგან

**პირველ მკათათვიდამ წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან.**

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 2 მან. 75 კაპ. და ქალაქ გარედ 3 მან. 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

**თხზულებანი ია ეკალაძისა.**

(ავტორის სურათით).

**ფასი ერთი მანეთი.**

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან.

(15—11).

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ**,—ყორღანოკის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელის-ბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ**,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა**, მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე**,—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**მ. ს. ელმი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**მ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და პსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მუღინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 10—11 ს.

**ა. ი. გალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 12—1 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ტყეშელაშვილი.**—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 11—12 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**გრ. ვ. სობოლევსკი** — დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. გეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274 (წ.)

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში გ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—3)


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

გაიჯოუელების დღესასწაული.—ავდარი ომს არ დაუშლის.—წვრილი ცნობები. -ომის სურათი.

დაშიცაოდგან იწერებოდენ დეპეშით 28 ივნისს (დეპეშა ადგილობრივ ცენზურას შეუჩერებია), როგორც დურბინდში მოჩანდა, გაიჯოუს მოქალაქენი დიდის ამბით მიეგებნენ იაპონიის ჯარს და იმის მისვლა იდღესასწაულეს. მოთავედ, უეჭველია, ქალაქის უფროსი (ტაფანგუანი) იქმნებოდა. ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით. მრავალი ხალხი ქალაქ გარედ გასულიყო და იაპონელებს უცდიდა.

გაიჯოუს ჩრდილოდ 26 ივნისს კიდევ შევნიშნეთ მაღლობებზე ჩინელი ჯაშუშები, რომლებიც სარკეთი ანიშნებდნენ იაპონლებს. საით უნდა დაუმიზნონ ზარბაზნები.

26 ივნისს კვალად დამტკიცდა, რომ იაპონელები «წითელის ჯვრის» ბაირაღს ბოროტად ხმარობენ. მოწინავე რაზმმა ეს ბაირაღი ამართა. ჩვენმა ჯარმა სროლა შესწყვიტა. შემდეგ გამოირკვა, რომ ბაირაღის ახლო ზარბაზნები დააყენეს და სროლა ასტეხეს. დურბინდში ცხადად სჩანდა წითელი ჯვარი და ყაზახებსაც უნახავთ, რომლებიც იმ დროს იქვე ახლო ყოფილან. (რ. ვ.).

—

შანჰაიდგან იწერებიან, გენერალ კუროპატკინის ლაშქარს დაჭერილი აქვს დაშიცაო-ხაიჩენ-ლიაოიანის მიდამოები, რკინის გზის გასწვრივ. შესაძლოდ მიაჩნიათ, გენერალ კუროპატკინმა დაშიცაოდგანაც უკან დასწიოს თვისი ჯარი და ან-შან-ჯასა და ლიაოიანს შორის გააჩეროს, სადაც სიმაგრეც არის და ფართო ველი საომრად უფრო შესაფერია. აქ მტრის რაზმები რუსის ლაშქრის ფთრებს ვერას დააკლებს.

კიდევ ამბავი მოდის, რომ ჩინელები თავისს ჯარს აძლიერებენ მდინარე ლიაოხეს მარჯვენა მხარეს. (რ. ვ.).

—

სამხრეთ მანჯურიაში ზაფხულობით გამუდმებული ავდარი იცის, კოკისპირული წვიმა მთელს მანჯურიას ტბად აქცევს, გზებს სულ წალეკს და ომი ორის თვით უნდა შესწყდესო,—ამბობდნენ სამხედრო მწერლები. ამ ცნობებს ეწინააღმდეგება «ნ. ი. პ-ის თანამშრომელი, რომელსაც ორი წელიწადი მანჯურიასა და კორეიაში გაუტარებია.

ის ადგილები, მანჯურიასა და ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზედ, სადაც მებრძოლთა ჯარებია, ვაკე და სწორე კი არ არის, არამედ მთიან-ხეობიანია. ჯარი მაღლობებზე დადგება, ხოლო წვიმის წყალი დაქანებით წავა ხეობებისაკენ, ასე რომ ჯარს არას ავნებს. მაინც და მაინც აქაური ავდარი არაფრით განირჩევა იმ ავდრისაგან, როგორიც ნიუ-იორკსა და შუა-შტატებში იცის ზაფხულობით.

სამხედრო მწერალნი იმ ცნობებით ხელმძღვანელობენ, რომელიც შეჰკრიბეს 1900 წელს ინგლისის, საფრანგეთისა, რუსისა და ამერიკის ჯარის კაცებმა, ჩინეთზე რომ მიდიოდნენ.

მაშინ ჩინელები განგებ აგუბებდნენ წყალს და მერე თხრილებს ერთბაშად არღვევდნენ, რომ გზა წაელეკათ და მოკავშირეთა ჯარები არ შეეშვათ. ამიტომ სრულიად უსაფუძვლოა ის აზრი, ვითომც ზაფხულის ავდრიანობა ომს შეაჩერებსო. (ნოვ.).

—

ჩინელი ყაჩაღები მოსვენებას არ აძლევენ რუსის ქვა-ნახშირის საწყობებს მუკდენთან. (რ. ვ.).

—

ჩიფუდგან იწერებოდნენ, ნიუ-ჯუანიდგან 30 ივნისს გამოსულმა გემმა გვაცნობა, ამ ნავსადგურის ახლო, სამხრეთისკენ ბრძოლა იყო. იაპონელებმა ჯერ უკან დაიხიეს, მაგრამ მერე ჯარი მიემატათ და წინ წავიდნენო. როდესაც გემი გამოსულა, იქ იაპონელებს ელოდნენ 48 საათის განმავლობაში. (რ. ვ.).

—

«სავაჭრო დეპეშათა სააგენტო» იუწყება, იაპონელების კამპანიას «ნიპპონ-უზან-კაიშამ», რომელიც იაპონელების სამხედრო მასალას ეზიდება, შეუძენია ინგლისელებისაგან რამდენიმე გემი, რომლებიც თავისებურად გადუნათლავთ: «ტენშინ-მარუ», «მოდი», «კიტულირ-მარუ» და სხვა. ზოგი გემები ჯერ წინანდელ სახელს ატარებენ. (გ.ვ.).

—

იგივე სააგენტო იუწყება, გაზეთ «ტრიბუნას» სიტყვით, რუსეთის ელჩმა თ-დ ურუსოვმა ხელშეკრულობა დაუდო ბენედეტის ფირმას, რომელიც მოვალეა 100:000 აბჯარი ჩააბაროს რუსის ჯარს. ეს აბჯარი ისეთის თვისებისაა თურმე, რომ თოფის ტყვია ვერ შეატანს. თითო აბჯარი 15 მანათად დაუკვეთნია. აბჯრები უნდა ჩაბარდეს ჯარს მანჯურიაში 2 აგვისტოს. (რ. ვ.).

—

ვლადივოსტოკის ესკადრის კრეისერი «ბოგატირი», როგორც უკვე ვიცით, გარიყული იყო. ეხლა ეს გემი გაუწთავისუფლებიათ. ამის გამო ადმირალი ალექსეევი მადლობას უცხადებს პორტის უფროსს ფლაგმანს, «ბოგატირის» კაპიტანსა და მეზღვაურებს, აგრეთვე ყველას, ვინცკი თავის შრომითა და მეცადინეობით ეს მძიმე საქმე გააადვილა და დაამთავრა. (რ. ვ.).

—

ინკოუსა ანუ ნიუ-ჯუანს დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონელებისათვის, რადგან თუ ეს ნავთსადგური დაიჭირეს, მას შემდეგ შეუძლიანთ სულ ზღვით მიიშველონ ჯარი, სურსათი და სამხედრო მასალა. მდინარე ლიაოხის ბოლოში მძიმე გემებიც შედიან, ხოლო ზემოდ თითქმის მუკდენამდე ნავ-გემები დადიან. (ნ. ვ.).

—

თან-ძინიდგან გაზეთ «სტან»-ს ატყობინებენ დეპეშით, ჩინეთის მთავრობამ 8 ივლისს (25 ივნისს) შეერთებულ შტატების საკონსულოს წარუდგინა 25,000 დოლარი ჩინელ ჯარის კაცებისგან მოკლულ ამერიკელ კორესპონდენტის ეტცალის ოჯახის სასარგებლოდ. ამით განხეთქილება ჩინეთსა და ამერიკას შორის მოისპო. (ნოვოსტი).

—

ინგლისის მთავრობას საჭიროდ უცვნია, უცხო ენები ასწავლონ მეზღვაურებს. ამ აზრით ოცი სტიპენდია დაუარსებია აფიცერთათვის, რომელნიც ისურვებენ უცხო ენების შესწავლას საზღვარგარედ.

უფრო საჭიროდ იაპონური ენაა ცნობილი. რავდენიმე ინგლისელი აფიცერი ვეი-ჰაი-ვეის გაიგზავნება და იქ საგანგებოდ მოწვეული იაპონელი პროფესორი ეყოლებათ. შემდეგ ერთს წელიწადს იაპონიაში იცხოვრებენ.

შემდეგ რუსულ ენას ექმნება საპატიო ადგილი დათმობილი. ფრანგულ, იტალიურ, ესპანურსა და პორტუგალიურ ენების შესასწავლად, ინგლისელების აზრით, საკმარისია 4 თვე, გერმანულ, ჰოლანდიურ და ბერძნულ ენებისათვის ექვსი თვე, რუსულ ენის შესწავლას კი 9 თვე მოუნდებაო. (ნოვ.)

### ომის სურათი.

«რუსკი ინვალიდში» დაბეჭდილია წერილი პ. კრასნოვისა, რომელიც ხელოვნურად მოგვითხრობს ერთს ფრიად საზარელ ამბავს რუსეთ-იაპონიისო მისას. ეს ყოფილა ფინ-შუი-ლინის უღელტეხილზე:

ნაშუადღევის 2 საათია. მზე ბრწყინავს. რუსის ჯარი დაბრუნებულია ვიწრო ხეობაში. მაღალი მთები ორთავ მხარეს სხვა და სხვა ყვავილებით არის დაფერადებული. მომხიბლავი სანახაობაა. ყაზახები ხურჯინებსა სხნიან. აქა-იქ ცეცხლი გიზგიზებს და ზედ წყალი ცხელდება ჩაიდნებით. აფიცრები და ექიმები ქვითკირის საკერპეს კიბესა და დერეფანში სხედან, საუზმობენ და ჩაის სვამენ. ყველა სტკბება სიცოცხლით, სითბოთი, ლამაზ სანახაობითა, ბუნებით. რამდენიმე ჯარის კაცი კლდეებზე მიცოცავს, ყოველ ბუჩქს ებღაუჭება, რომ მაღლობზე ავიდნენ და დარაჯად დადგნენ...

ერთბაშად სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის წვეროდგან რაღამაც იგრიალა და ზედ საშინელი თოფის სროლა ასტყდა. ტყვიის ზუზუნი საერთო ჟრიამულს შეუერთდა. საკერპე ინგრეოდა და აგურები თავს გვეცემოდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ პირველ წუთს ვერც-კი მივხვდით, რა მოხდა და საიდგან დაგვატყდა მტერი... ტყვია სწორედ იმ ადგილს დაუშინეს, სადაც აფიცრები ისხდნენ, და პირველი ექიმს მოხვდა ფეხში...

კაცი და ცხენი, მოკლული და დაჭრილი, ერთმანეთში აირია. ცხენები ხვიხვინებდნენ და სცდილობდნენ აღვირები აეგლიჯათ. აფიცრები და ყაზახები თავთავის რაზმებისაკენ გარბოდნენ.

— ცხენებზე! მეჯინიბენო, ტყისკენ! ქვეითებო, ჩემკენ! ისმოდა ბრძანება უფროსებისა დაე აფიცრებისა. გენერალი ლ. ცხენს შემოახტა და საჩქაროდ რაზმთა წყობას შეუდგა...

მხედარ-საპიორების რაზმის უფროსი კაპიტანი შულჟენკო, რომელიც ტრანსვაალის ომშიც იყო, გაექანა თოფით ხელში იმ მხარეს, საიდგანაც ტყვია მოდიოდა, მალე ბუჩქნარში მიიმალა და მაღალ მთას შეუდგა, მას მიჰყვა, «ურას» ძახილით პოლკოვნიკი როსსინსკი, დივიზიის შტაბის უფროსი, როტმისტრი ცედერბერგი, გრაფი კომაროვსკი, ესაული ვლასოვი, ასისთავი ობუხოვი, და სამოცამდე ყაზახი. ისინიც „ურას“ გაიძახოდენ.. შესწყდა თოფის სროლა... იაპონელები შეკრთნენ.

იმ დროს, როდესაც ეს თავგანწირული გმირები კლდეებზე მიცოცავდნენ, ქვემოდ ჯარის-კაცებს ცხენები მოფარებულ ადგილს მიჰყავდათ.

სამწუხარო სურათს წარმოადგენდა ჩვენი ბანაკი, რომელიც ერთის წუთის წინად ისე მშვიდი და კარგი სანახავი იყო... გარშემო კვნესა და ხრიალი ისმოდა; თოფის გრიალსა, ძახილს და ჟრიამულს კლდეები ბანს აძლევდა... ოცი წამი გაივლიდა, როდესაც ჩვენი აფიცრები და ყაზახები მაღლობზე ავიდნენ და იაპონელები უკუ აქციეს...

ჩვენს რაზმში 5 ყაზახი მოკლული იყო, ხუთი მძიმედ დაჭრილი და 16 მსუბუქად; პოდპოლკოვნიკი ზაბოტკინი და ექიმი არხანგელსკი მსუბუქად იყვნენ დაჭრილნი; 53 ცხენი მოეკლათ...

## ტფილისი

*** მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი ალექსი, გუშინ-წინ, 5 ივლისს, უკვე დაბრუნდა ტფილისს თავის მოგზაურობიდგან, სადაც, როგორც ვიცით, სამრევლო სკოლათა სარევიზიოდ და ეკლესიათა საკუთხებლად იყო წასული ხაშურსა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში.

*** სოფ. შემოქმედში (გურია) ამ რამდენისამე თვის წინად აღმოჩენილა გოგირდის წყალი. პროფესორს ვასილ პე-

ტრიაშვილს შეუმოწმებია ეს წყალი და საუკეთესო სამკურნალო წყლად უცვნია. ეხლა ადგილის პატრონებს—დუმბაძეებს—აბანოები გაუმართავთ იქ. ის აბანოები ძლიერა ჰრგებს თურმე ქარებით დასნეულებულთა, ნერვებ-აშლილსა და სხვა ავადმყოფობას. ეს აბანოები იჯარით აუღია ბ-ნს ვარდენ დუმბაძეს. ბ-ნი ვ. დუმბაძე ყოფილა ადესას, ყირიმსა და სხვაგან პროფესსორებთან და თან წაუღია წყალი გამოსაკვლევად. პროფესორს ვასილ პეტრიაშვილს, სხვათა შორის, უთქვამს, რომ ეს წყლები გაცილებითა სჯობია აბასთუმნის სამკურნალო წყლებსაო და თან შესაფერი მოწმობაც მიუცია ამის გამო ბ-ნ ვარ. დუმბაძისათვის. იმედია, რომ მომავალში ეს წყლები საზოგადოების ყურადღებას მიიქცევს და ერთ საუკეთესო კურორტად გადაიქცევა.

*** 3 ივლისს კავკავის საპოლიციო გამგეობაში მივიდა კარგად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი განჯის გუბერნიის, ქალაქ შუშის მცხოვრები ნერსეს ივანეს ძე მარტიროსიანცი, რომელიც მუდამ ბაქოში სცხოვრობს, და განუცხადა, რომ ამ წლის 29 ივნისს, საღამოს 10 საათზედ, ქალაქ დარუბანდში, საქალაქო ბაღში, სამჯერ რევოლვერი ვესროლე და მოვკალი დარუბანდის მცხოვრები სარა ნიკოლოოზ პოლოსოვის ასული, გასათხოვარი ქალი. ეს მკვლელობა იმიტომ ჩაუდენია, რომ სარას უარი განუცხადებია იმის ხასთობაზედ. მარტიროსიანცს განუცხადებია, დარუბანდიდგან იმიტომ გამოვიქეცი და დავიმალე, რომ მეშინოდა, სარას ნათესავებს არ მოვეკალი. მარტიროსიანცი დააპატიმრეს და ოქმი შეადგინეს. (ყაზბ.).

*** კავკავში იბეჭდება და მალე გამოვა ოსურს ენაზედ ახალი ძვირფასი ისტორიული საუნჯე—პოემა „ალღუზიანი“, ძველ ქართულ ენიდგან თარგმნილი აკადემიის სტუდენტის ქოჩიევის მიერ.

*** საქართველოს ექსარხოსის, მაღალყოვლადუსამღვდელოესის ალექსის განკარგულებით, ქუთაისის სასულიერო სემინარიის მე-VI კლასის ყოფილ მოწაფეთ შეუძლიანთ მიჰმართონ ტფილ. სასულიერო სემინარიის გამგეობას და ითხოვონ, რომ ნება მიეცსთ გასათავებელ ეგზამენების დაჭერისა, რომელიც მოჰხდება ამ წლის 26—28 აგვისტომდე. ამის შესახებ თხოვნები უნდა წარუდგინონ ტფილ. სასულ. სემინარიის გამგეობას 1—20 აგვისტომდე. შემდეგ კი თხოვნები არ მიიღება.

*** ტფილისის დედათა სახელოსნო სასწავლებლის დირექტრისამ უკვე წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში ამ სასწავლებლისა, ანგარიშიდგანა სჩანს, რომ 190³/₄ სამოსწავლო წელს სასწავლებელში მოსწავლე ქალები ყოფილან სულ 198: აქედგან ქართველი ყოფილა 88, რუსი—60, სომეხი—39, მწვალებელი (სექტანტი)—6 და პოლონელი—5. ამ სასწავლებელში წელს კურსი გაუთავებია 20 მოწაფე-ქალს, იმათგან 16-ს ატესტატი მიუღია, ხოლო 4-ს კი—მოწმობა.

*** გუშინ-წინ, 5 ივლისს, ტფილისის უსახელო საზოგადოება შეუდგა. ახალის ლიანდაგის დაგებას ნიკოლოოზისა და ვორონცოვის ხიდებზედ. ამის გამო ხსენებული საზოგადოება სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ დროებით ნუ მისცემს ეტლებს ამ ხიდებზედ სიარულის ნებას, რათა ლიანდაგის დასაგებად დაწყებული მუშაობა ჩქარა დამთავრდესო.

*** ექიმებმა ი. ი. ანდრონიკაშვილმა და მ. მელიქ-ბაბახანოვმა წინადადება მისცეს სასანიტარო აღმასრულებელს კომისიას, მიგვიღეთ ხსენებულს კომისიაში სასანიტარო მკურნალადაო.

*** გუშინ, 6 ივლისისათვის, საღამოს 8 საათზედ, საგუბერნიო სამმართველოს სადგომში დანიშნული იყო კრება ტფილისის საგუბერნიო სასანიტარო-აღმასრულებელის კომისიისა, ტფილ. გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის თავმჯდომარეობით.

*** ქ. ახალქალაქიდგან «ნოვ. ობოზ.»-ს ატყობინებენ, რომ 1 ივნისში სოფ. ქილდას დიდი სეტყვა ყოფილა, რასაც გაუნადგურებია 280 დესეტინაზედ ნათესობა. ზარალი 6,540 მანეთს უდრის.

*** ამას წინად სოფელ ქუმურდოში (ახალქალაქის მაზრა) ჰაიკ და არშაკ საარიანცებმა მოქმედებით შეურაცჰყვეს სამსახურის ასრულების დროს ბეითალი ალექსეევი და პოლიციის დარაჯი.

*** ტფილ. საქალაქო საქმეთა საკრებულომ განიხილა ქალ. გორის რწმუნებულთა 20 მაისის დადგენილება ქალ. გორსა და მეჯვრისხევ-ცხინვალს შორის მავალ ეტლებზედ საბაჟო გარდასახადის დადების შესახებ. საქალაქო საქმეთა საკრებულომ ეს დადგენილება უკანონოდ იცნო და არ დაამტკიცა.

*** როგორც დანამდვილებით შევიტყეთ, ჩვენს ახალგაზრდა მემუსიკეს ბ-ნ დიმიტრი არაყიშვილს ფონოგრაფზე უკვე გადაუღია წირვის საგალობლები (ლიტურგია). საგალობლები უმთავრესად უგალობნია გიორგი ზალიკანიანს მღვდლის მირონ ომანაძისა, მთავარ-დიაკონის ნიკოლოოზ კუჩაიძისა და ალექსანდრე ჩივაძის დახმარებით. იგივე დიმიტრი არაყიშვილი გვთხოვს იმის მხრივ უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ მღვდელს მ. იროდიონ ნანობაშვილს, რომელმაც დიდი დახმარება აღმოუჩინა ამ საქმეში.

*** 3 ივლისს პოლიციის მესამე ნაწილში შეიპყრეს ტფილ. მცხოვრები თევდორე პაპიანი, რომელმაც 27 ივნისს მძიმედ დასჭრა გეურქ სარქისოვი და უნდოდა მოეკლა დიმიტრი ჭიაბერაშვილი, რომელსაც თავს დაეცა მუხრანის ქუჩაზედ.

## ჩვენებური ამბები

—

**ს. ყაზბეგი.** (ხევი). 20 ივნისს მოვიდა ახლად დანიშნული ბლაღოჩინი მ. ვას. კოზმოვი. პირველად ღვთის მსახურება მ. ვასილმა მისდა რწმუნებულ მთავარ ანგელოზის ეკლესიაში შეასრულა 27 ამ თვისას. ხალხი დაღონებული იყო იმ გავრცელებულ ხმით, რომ მ. ვასილი შთამომავლობით ბერძენია და იქნება ქართული არ იცოდესო; მაგრამ ხალხის დაღონება მალე აუწერელ სიხარულად შეიცვალა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. ბლაღოჩინმა შეასრულა ღვთის მსახურება 27 ივნისს, და შეასრულა ქართულიდ, შეასრულა ისე, რომ მისი კილო თუ ხმა ამტკიცებდა, რომ მ. ვასილი არის ნამდვილი ქართველი და არა ბერძენი. წირვაზედ გალობდა ადგილობრივი საეკლესიო ორკლასიან სკოლის ბავშვებისაგან შემდგარი გუნდი. თავის დროზედ მ. ბლაღოჩინი მიესალმა ხალხს მოკლე, მაგრამ საგძნობელის სიტყვით, რომელიც აქვე მოგვყავს: „კეთილ მორწმუნენო მსმენელნო, მართლმადიდებელნო ქრისტეანენო! როდესაც უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ გაჰგზავნა თავისი მოციქულები სხვა და სხვა ქვეყნებში სარწმუნოების საქადაგებლად, მაშინ მისცა მათ ასეთი მცნება: „როდესაც შეჰხვიდეთ რომელსამე სახლში, ჰსთქვით: მშვიდობა სახლსა ამას. და უკეთუ სახლი იგი ღირს იყოს, მოვიდეს მშვიდობა თქვენი მასზედა; უკეთუ არა ღირს იყოს, მშვიდობა თქვენი თქვენდავე მოიქეცინ“ (მათ. 10 თ. 12-13.) როგორც მოადგილე იესო ქრისტეს მოციქულისა, რასაკვირველია, მეც უნდა დავემორჩილო ამ მცნებასა და მოვიყვანო იგი აღსრულებაში. ამისათვის, საყვარელნო ძმანო და დანო, მეც, შემოველ-რა პირველად ამ წმინდა ტაძარში, და სულით, გულით მოგესალმებით ამ სიტყვებით: «მშვიდობა სახლსა ამას და თქვენ-ყოველთა, მცხოვრებთა სოფელსა ამასა შინ.»!.. მაგრამ მოგესალმებით-რა ასეთის სიტყვებით, მე მასთანვე ვევედრები ღმერთსა, რათა მშვიდობა ჩემი არ «მოიქცეს.» არ გამობრუნდეს ჩემთანა, ე. ი., არ შეიქმნეთ თქვენ უღირსნი, არამედ ღირსნი ჩემ-მიერ თქვენზედ მოწოდებულ მშვიდობისა...

«ესრეთ, ძმანო და დანო, სულით და გულით გინატრით მშვიდობასა,—მხოლოდ როგორსა?—რასაკვირველია, მე არ გინატრით თქვენ ისეთს მშვიდობას, რომელიც კაცობრიობის შეხედულობით და ახსნით ცოტათი ირჩევა მშვიდობიანათ ჩავლილ ჩხუბისაგან,—არა! მე არ გინატრით ისეთს მშვიდობასა, რომელიც ხშირად პირფერობითია, არამედ გინატრით სულიერს მშვიდობას,—ისეთს მშვიდობასა, რომელიც, როგორც მოგვითხრობს სამღვთო წერილი, «ჰმატს ყოველთა გონებათა» (ფილ. 4, 7) და რომელსაც, როგორც აუცილებელი შედეგი, მოსდევს «სიხარული სულითა წმიდითა» (რომ. 14, 17). ის მშვიდობა, რომელსაც გინატრით მე თქვენ, არ არის ესრეთ წოდებული „თვით კმაყოფილი მოსვენება“, რომელიც გამოაცლის კაცსა ყოველსავე მოქმედების ნიჭსა,—არა! იმ მშვიდობას, რომელსაც გინატრით, პირიქით მოსდევს უმაღლესი მოქმედება სულისა. ვისაც კი ექმნება გულში ასეთი მშვიდობა, ის იგრძნობს უმაღლესს, ზეციურს სიხარულსა. ასეთი გრძნობა არის დასაწყისი იმ ბედნიერ მდგომარეობისა, რომელიც მიენიჭება ღვთის მოყვარე კაცსა იმ ქვეყანაში. ასეთს მშვიდობასთან არავითარი ადგილი არ ექმნება არც მტრობასა და არც ჩხუბსა... აი, ასეთს უმაღლესს მშვიდობას გინატრით თქვენ, ჩემო საყვარელნო ძმანო და დანო!..

რაც შეეხება პირადად მე, ამაზედ გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე მოვედი აქ, თქვენთან, აღსავსე ბრწყინვალე იმედებით, კეთილ-განზრახვებით და გულწრფელის სურვილებით—ვიშრომო აქ არა თუ მხოლოდ სადიდებლად ღვთისა, არამედ თქვენს სასარგებლოდაც, რამდენადაც კი ძალ-მიძს, წრფელის გულით გინატრით ქრისტეანულ კეთილდღეობას სულ ყველასა, განურჩევლად იმისა—მოხუცია თუ ჭაბუკი, მდიდარია თუ ღარიბი.

დასასრულ ამ ჩემის სიტყვისა, უმორჩილესადა გთხოვთ თქვენც იქონიოთ ასეთივე სიყვარული ჩემდა. ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა, მოწყალებისა და ნუგეშის-ცემისა იყავნ თქვენ ყოველთა-თანა. ამინ».

წირვის შემდეგ მ. ვასილმა გარდაიხადა პანაშვიდი ნეტარ-ხსენებულის ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზბეგის საფლავზედ, რომელიც იმყოფება ზემოხსენებულ ეკლესიის გალავანში. როგორც წირვაზედ, აგრეთვე პანაშვიდზედაც დაესწრნენ განსვენებულის ალექსანდრეს ნათესავნი და მრავალი ხალხი, რომელნიც დაბრუნდნენ ეკლესიიდან მეტად ნასიამოვნები და გახარებული.

ყაზბეგის ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებელი

ამბროსი ჩიხლაძე.

## სიტყვა,

**თქმული ავტორის მიერ ს. ოთფურიას დასაფლავებაზედ!**

საყვარელო ძმაო და ძვირფასო მეგობრო!

გრძნობა მეწვის და გონება მიჩლუნგდება თვალ-ცრემლიანს, ჩემ წინ უსულოდ მდებარეს რომ გიყურებ!.. მართალია, უზენაესი სიბრძნე ჩვენ-და სანუგეშოდ ბრძანებს: «სიკვდილი ცოდვილთა ბოროტ არას, ხოლო მართალთა განსვენებაო», და მართალიც შენა ხარ და შენი სიკვდილიც, მაშასადამე, სასურველი სამარადისო განსვენებაა, მაგრამ ქვეყნიურთა უძლური გული ვერ აიტანს ვერც წუთიერ უბედურობას, და ამიტომ მაინც გტირით შენ, თუმცა საგლოვიარო და სატირელი ვართ ჩვენ, შენი დამკარგველნი, და არა თვით შენ, რომელზედაც ვერავინ იტყვის, რომ «იყო ქვეყნად და ქვეყანას კი ვერა-რა არგოო»!..

რაც თავისთავადაც ცხადია, იმას საბუთები აღარ ეჭირვება!.. შარავანდედ-ფენილი შენი ცხოვრების გზა იმ თავიდან ამ ბოლომდე ყველას გათვალწინებელი გვაქვს და მოვიხსენიებთ მხოლოდ მოკლედ: ხელმოკლე ოჯახის შვილი მხოლოდ სხვების დახმარებით მიდიხარ— მიიწრაფი შორს სამშობლოდგან, უმაღლეს სწავლა-განათლების მისაღებად. იქ, უცხო მხარეში, მოგელის შენი გაჭირვება და, დღიურ საზრდოს მოსაპოებლად, დღიურ მუშად დგები, ოღონდ კი განაგრძო შენი არჩეული გზა, რომელსაც

---

# ფელეტონი

—

## ფიქრი და შენიშვნა.

### IV

აქამდინ ჩვენ ვლაპარაკობდით განსაკუთრებით იმაზე, თუ როგორ იმოქმედა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე ევროპიდამ გადმოღებულ ფორმამ კაპიტალისტურ წარმოებისამ, რომელსაც გარეგან ზედ-გავლენით (სადამოჟნო ტარიფით, გარანტიებით, სუბსიდებით, პრემიებით და სხვ.) უცბად, რაღაც 30—40 წელში, ეკონომიურად უნდა გაეღონიერებინა მთელი სახელმწიფო და ასე ნიადაგი შეექმნა პოლიტიკურ ძლიერებისათვის მთელ ევროპის წინაშე. ესაა ეკონომიური მხარე ხსენებულ ზედ-გავლენისა; გადავიდეთ ახლა მის ფინანსიურ მხარეზე, და მოკლედ განვიხილოთ მისი შინაარსი.

«მითხარ, საიდამ გეძლევა წლიური შემოსავალი და რაში ხარჯავ ამას,—მაშინ მეც გეტყვი, რა კაციცა ხარო». ეს თუ ყოველ კაცზე არა, უმრავლესობაზე მაინც ითქმის; სახელმწიფოზე-კი ყოველთვის ზედ-გამოჭრილია. სახელმწიფოს ფინანსები სახელმწიფოს სარკეა; მასში იხატება მკაფიოდ და ცხადათ მისი ეკონომიური, სოციალური და თვით პოლიტიკური ცხოვრებაც. აი თუნდ ერთი ამისთანა სარკე რუსეთის იმპერიისა ამ 50 წლის წინ: ჩვეულებრივი სახელმწიფო შემოსავალი ადიოდა დაახლოვებით 250 მილიონ მანეთამდინ;*) ამისი ორი მესამედი პირდაპირ გლეხკაცობას ერთმეოდა, დანარჩენს კი იძლეოდა ბაჟები და სახელმწიფო მამულების შემოსავალი. სახელმწიფო ვალი ადიოდა ათას ხუთას მილიონ მანეთამდინ. ამ წლიურ შემოსავლიდამ—250 მილიონიდამ,—45% ჯარის შენახვას უნდებოდა, 40% ვალში მიდიოდა, დანარჩენი-კი, სულ მცირე ნაწილი—15% სახელმწიფოს შინაურ საჭიროებაზე იხარჯებოდა: მართვა-გამგეობაზე, გზებზე, სწავლა-განათლებაზე (1%-ზე ნაკლები) და სხვ. ეს ოდნავ თვალის გადავლებაც საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა იყო იმ დროს ეს დიდი რუსეთი: ბატონ-ყმური ურთიერთობა მკვიდრთა შორის, ქვეყნის ნივთიერი წარმოება უკიდურეს ყოფაში, საერთო სიღარიბე, სწავლა-განათლება მთლად დაქვეითებული, სულის შემხუთველი ვალი, გარეშე მტრის დიდი შიში,—ასეთ გაჭირებაში იყო იმ დროს რუსეთი. ოსმალეთს ავადმყოფობა სჭირს, დღეები დათვლილი აქვსო,—გაისმოდა მაშინ საქვეყნოდ; და ისიც ვინ ამბობდა ამას?... ასეთი მედიდურობა, ახლაც ხომ ვხედავთ ამას, ყოველთვის არა-რაობის ნიშანია. რა გვარად შეიცვალა მას შემდეგ სახელმწიფო ფინანსები, სახელმწიფო შემოსავალ გასავალი? ვის მიემატა და ვის შეუმცირდა გარდასახადი? შემოსავლის დახარჯვაში რას ეძლეოდა უპირატესობა, სახელმწიფოს რომელ საჭიროებას?

წელს, როგორც უკვე ვსთქვით, სახელმწიფო შემოსავალი ორ მილიარდს გადასცილდება, თუ ხარჯთ-აღრიცხვას შესრულება დასცალდა შარშან-წინ, ე. ი. 1902 წელს, 1,905 ათას მანეთზე მეტი იყო. იმავ დროს ინგლისს და საფრანგეთს, სადაც მკვიდრთა რაოდენობა ერთი-სამად ნაკლებია რუსეთისაზე, შემოსავალი იყო პირველში 1,300 ათასი მან., მეორეში-კი 1,340 ათასი. აი როგორ იზრდებოდა რუსეთში სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი (ჩვეულებრივი):

| | შემოსავალი | გასავალი |
|---|---|---|
| 1867 წ. | 438 მილ. | 446 მილ. |
| 1877 წ. | 598 მილ. | 631 მილ. |
| 1887 წ. | 820 მილ. | 841 მილ. |
| 1898 წ. | 1,584 მილ. | 1,458 მილ. |
| 1899 წ. | 1,673 მილ. | 1,463 მილ. |
| 1900 წ. | 1,704 მილ. | 1,555 მილ. |
| 1901 წ. | 1,799 მილ. | 1,664 მილ. |
| 1902 წ. | 1,905 მილ. | 1,802 მილ. |

1888 წლამდინ ხარჯი ყოველ წლივ მეტი იყო შემოსავალზე, რაიც გამოწვეული იყო ყირიმის და უკანასკნელ 1877 წლის ომით, დიდ-ძალ რკინის გზების გაყვანით და მუდმივ დიდ ჯარის შენახვით. აქედამ წარმოსდგა ვალი, რომელიც ხაზინას დააწვა. აი ამ სახელმწიფო ვალის თანდათანი ზრდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1858 წელს | 1,759 | | მილ. მან. |
| 1880 წელს | 4,698 | *) | მილ. მან. |
| 1886 წელს | 5,250 | | მილ. მან. |
| 1898 წელს | 6,341 | | მილ. მან. |
| 1902 წელს | 6,643 | | მილ. მან. |

ასეთი დიდი ვალი, რასაკვირველია, დიდ ფულსაც ითხოვს ყოველ წლივ სარგებლის და თავნის ნაწილ-ნაწილად გარდახდისათვის; მაგ., 1898 წელს ხაზინას მიუცია ვალში წლის შემოსავლიდამ 273½ მილიონი მან.

### V

განვიხილოთ ახლა, მოკლედ მაინც ის, თუ საიდამ ეძლევა ხაზინას თავისი ყოველ წლიური შემოსავალი. დაახლოვებით და მოკლედ სიტყვის მოჭრით შეიძლება ითქვას, რომ შემოსავალს იძლევა: 1) გარდასახადი გაწერილი მცხოვრებლებზე და მათ მამულებზე, 2) ბაჟები დაწესებული გასასყიდ საქონელზე, უცხოეთიდამ შემოტანილზე (სადამოჟნო ბაჟი) და შიგ რუსეთში მომზადებულზე (აქციზი); 3) შემოსავალი სახელმწიფო მამულების და მეურნეობისა. ამ რაღაც 40 წლის განმავლობაში ეს სამგვარი შემოსავალი მატულობდა ამ რიგად:

| | I—გადასახ. | II—ბაჟი | III—სახ.მამ.მეურ. |
|---|---|---|---|
| 1867 წ. | 138½ მილ. | 187 | 55½ |
| 1877 ,, | 197 ,, | 272 | 51½ |
| 1887 ,, | 226 ,, | 401 | 103 |
| 1897 ,, | 265 ,, | 596½ | 555 |
| 1901 ,, | 315 ,, | 686½ | 797 |

მესამე მუხლი შემოსავლისა,—სახელმწიფო მამულების და მეურნეობისა, შესდგება შემდეგიდამ (1901 წელს):

1.—სახაზინო მამულები:

| | |
|---|---|
| რკინის გზები | 378 მილ. |
| ტყეები | 56 „ |
| სახელმწ. მამულის გაყიდვა და სხვ. | 60 „ |
| სულ | 494 მილ. |

2.—მთავრობის მეურნეობა:

| | |
|---|---|
| არყით ვაჭრობა | 163 მილ. |
| ფოსტა-ტელეგრაფი | 52 „ |
| სამთო შემოსავ. და სხვ | 8 „ |
| სულ | 223 მილ. |

3.—ხაზინიდამ გაცემულ სესხის დაბრუნება, კერძო რკ.-გზების გარდასახადი, ოსმალეთის კონტრიბუცია (6 მილ. 600 ათას) და სხვ.

სულ. . 80 მილ.

ამ შემოსავლებში უდიდესი წილი, როგორც ვხედავთ, რკინის-გზების და არყით ვაჭრობისაა, უფრო-კი რკინის-გზების—378 მილ. მაგრამ თუ ვიკითხეთ ახლა, თვით ხაზინას რაღა ეხარჯება ამაზე, ე. ი. რკინის-გზებზე, ვნახავთ, რომ არამც თუ მოგებას არ იძლევა ეს, არამედ დიდი ზარალიც მოაქვს ყოველ-წლივ ხაზინასთვის, რასაც შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

| | შემოსავალ | გასავალი |
|---|---|---|
| 1901 წ. | 378 | 448 მილ. |
| 1900 წ. | 361 | 449 — |
| 1899 წ. | 347 | 413 — |
| 1898 წ. | 348 | 398 — |
| 1897 წ. | 277 | 348 — |

ყოველ წლის გასავალში, სხვათა შორის, მოყვანილია ხარჯი ახალ გზების გაყვანაზე, ე. ი. ახალ მამულის შეძენაზე; გასავალს ეს რომ გამოვაკლოთ, ხარჯი მაინც დარჩება იმდენი, რომ შემოსავალს სჭარბობს, 10, 20 და მეტ მილიონითაც. ეს ხარჯი მიდის ექსპლუატაციაზე, კონტროლზე და ვალებში, რომელიც მათის გაყვანით ან და შესყიდვით დაედო ხაზინას. იანვრის პირველს 1902 წ. სახელმწიფო ვალში—6,392 მილიონში,-რკინის-გზებზე აღებული ვალი იყო 3 მილიარდი 10 მილიონი მანეთი. რკინის-გზების შემოსავლიდამ ამ ვალში გაცემულა:

| | |
|---|---|
| 1897 წ. | 114 მილ. |
| 1899 წ. | 117 მილ. |
| 1900 წ. | 112 მილ. |
| 1901 წ. | 126 მილ. |

ზემოთ ჩვენ ვსთქვით, რომ რკინის-გზების გაყვანას მთავრობა შეუდგა ქვეყნის ეკონომიურ წარმოების გასაძლიერებლად; წარმოების განვითარებას მიეცა კაპიტალისტური ფორმა: უმრავლესობის შინაური ხელ-საქმე ფაბრიკასა და ქარხნებში შეგროვდა, რომელიც უმცირესობის, კერძო პირთა საკუთრებას შეადგენს, ამათ ნაწარმოების გასაღებას მთელ რუსეთის მცხოვრებლებზე ესაჭიროებოდა უპირველეს ყოვლისა გადამზიდავი საშუალება, რკინის-გზები- ამის გაყვანაში ხაზინას ვალად დასდებია რამდენიმე ათასი მილიონი. ამ გზებს, რომლის საშუალებით სავაჭრო საქონელი იფინება მთელ რუსეთის იმპერიაში, ყოველ-წლივ ზარალი მოაქთ... და ყველა ეს მოხდა **для развитія отечественной промышленности**, ე. ი. მთელ იმპერიის შინაურ ხელ-საქმის შეგროვებისათვის შუა-გულ რუსეთის ქარხნების სასარგებლოდ. მეორე დიდ შემოსავალს იძლევა არყით ვაჭრობა, რომელმაც მისცა:

---

(*) მთელ სახელმწიფოში მაშინ ირიცხებოდა 70 მილიონამდე მცხოვრები. ახლა რუსეთში ორჯელ მეტი მცხოვრებია, შემოსავალი-კი რვაჯერ მეტი (ორ ათას მილიონს გარდასცილდა).

*) 2 ათასი მილიონი უკანასკნელი ომი დაუჯდა ოსმალეთთან.

ქვა-კუთხედად უძევს საზოგადო მისწრაფება და არა საპირადო რამ, რაც დღეს საზოგადო სენად არის ჩვენში გადაქცეული. ნამეტანი შრომით დასნეულებულს, სხვათა შორის, ბოტკინი და ვირხოვიც კი გირჩევენ, რომ თავი დაანებო შრომას, თუ სიცოცხლე გინდა!.. მაგრამ შენ კი მაინც სხვასა ფიქრობ: რად მინდა სიცოცხლე, თუ ქვეყნისათვის გამოუსადეგარი იქნება, და რაა ის სიმრთელე, რომელიც ჩემს მეტს არავის არგიაო? —არა!.. გავუფრთხილდები თავს, შევებრძოლები ყოველ გვარ ხელის შემშლელ გარემოებას და მე კი მაინც ჩემსას არ დავიშლიო. და მართლაც გონიერმა მებრძოლმა სძლიე და მით გაამართლე ბრძნული თქმულობა: «შეუძლებელი შესაძლოა მხოლოდ კაცისათვისო!.. დიახ, სრულიად გამომთელებელი, სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილი დაუბრუნდი სამშობლოს და შეუდექ გულითად განძრახვების განხორციელებას... ჩვენში, ჩვენდა საუბედუროდ, ნამდვილი გულწრფელი მოღვაწეობა, სწორედ, რომ იობის განსაცდელია, გარეშეები საქმით უშლიან ხელს და შინაურებიც სიტყვით იმ გარეშეებს ეხმარებიან; ერთის წალმა-ხნული ათისა და ასისგან უკუღმა იფარცხება. და ხალხის უმეტესობაზ, იმ გულ-უბრიყვილო ბრბომ, ar იცის, ვის დაუჯეროს?.. შენი მისწრაფებაც უბრალო ოცნება ეგონათ, რადგანაც ღარიბად გხედვიდნენ. მაგრამ, როდესაც შენ, როგორც მოსემ, რომელმაც მარტო-ოდენ ერთის კვერთხის დაკვრით ურწყულ უდაბნოში წყარო გამოადინა, არარაისაგან შექმენ საერო საქმე, მაშინ კი გიწამეს და დღეს თვალ-ცრემლიანნი შენ წინ თავს იხრიან. და მეც ერთი შენი გულითადი მეგობართაგანი, სიცოცხლეშივე შენი თაყვანის-მცემელი, გეთხოვები:

მშვიდობით, ძმაო და მეგობარო!
ჩვენთვის მანამდე დაუვიწყარო,
სანამ სრულიად არ დაშრეტილა
ჩვენი ცხოვრების ნაკადულ-წყარო!

—

შენებრ რჩეულებს ათასში ერთხელ
ზეცა უგზავნის მიწას იმედად,
ვით უდაბნოში გზა-დაბნეულებს—
გზის მაჩვენებლად და ნათლის სვეტად.

—

რომ გულ-გატეხილს და დამონებულს
ჩამოაშოროს ეგვიპტით მტერი
და მიიყვანოს აღთქმულ ქვეყანას
ახალ ცხოვრების მოსურნე ერი.

—

კურთხეულ იყოს საშვილიშვილოდ,
შენი სახელიც დაუვიწყარი!
ვინც მოიხადა ამ სოფლად ვალი,
ის მკვდარიც ცოცხლობს--არ არის მკვდარი!

—

შენც ხორციელად თუმცა გვშორდები,
მაგრამ აქ რჩება ჩვენთანვე სული
შიშში და ლხინში გამამხნევებლად,
ვით უკვდავება და სიყვარული.

—

მშვიდობით, ძმაო და მეგობარო,
ჩვენთვის მანამდე დაუვიწყარო,
სანამ სრულიად არ დაშრეტილა
ჩვენი ცხოვრების ნაკადულ-წყარო.

## † თ. ირაკლი მიხეილის-ძე ციციშვილი.

3 ამ თვისას ს. ხვედურეთში მიწას მიაბარეს თავადი ირაკლი მიხეილის ძე ციციშვილი. აუარებელი გლეხობა დაესწრო განსვენებულის დასაფლავებაზედ. გლოვასა და მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. დიდი ხანია ასეთი სურათი არა ვის უხილავს დიდ მანძილზედ გაჭიმულ საციციანოში. მართალია, «ჩვენი ირაკლი» მეტად ტკბილი და სათნოიანი ქართველი იყო და თავისის ქრისტეანულის ზნითა ყველასთვის საყვარელ კაცად შეიქმნა, მაგრამ გლეხ-კაცობას მაინც გული სხვა მიზეზის გამო სტკიოდა და სული სხვა რისთვისმე ეტანჯებოდა. საქმე ისაა, რომ განსვენებული თავადი მუდამ გლეხის მფარველად და ნუგეშის მცემლად ითვლებოდა.

თვალ გადუწვდენელ საციციანოში გლეხს ისე საქმე და რაიმე დავი-დარაბა არ გაუჩნდებოდა, რომ შორიდგან ირაკლისთან არ მოსულიყო და იმისგან რჩევა და დარიგება არ მიეღო. ამ სავალალო და სამწუხარო დროს, როცა თავადთა და გლეხთა შორის დამოკიდებულება ასე გამწვავდა, «ჩვენი ირაკლი» მტკიცედ ადგა იმ ძველ ქართულ მცნებას, რომელიც ბძანებდა: «ბატონი პატრონია გლეხისაო». ამიტომაც ეს გლეხი ასე მწარედ ცრემლებს აფრქვევდა განსვენებულის საფლავზედ, ასე გულწრფელად სწუხდა და გოდებდა.

განსვენებულს დიდი სწავლა არ შეეძინა, მაგრამ მაინც შეგნებულ და მცოდნე კაცად ითვლებოდა. ცხოვრების ალღო ალებული ჰქონდა, ამ ცხოვრების ავი და კარგი ზედ მიწევნით ესმოდა. ამიტომაც შინაობასა და გარეულობაშიაც ირაკლის დაუკითხავად არა კეთდებოდა-რა. ყველგან და ყოველთვის, ლხინსა და ჭირში, ირაკლი პირველობდა, თავადობდა. დიდს პატივსა სცემდა და დიდად უყვარდა გვარეულობას თავადი ირაკლი მიხეილის ძე ციციშვილი. განსვენებულის საფლავზედ გლოვის ზარში გარკვევით ისმოდა,—თუ რა ბურჯი გამოეცალა ციციანთ გვარეულობას ირაკლის სიკვდილით.

და დასასრულ, ოჯახისთვისაც განსვენებული თავგანწირული პატრონი იყო. არავითარ ხარჯს არ უფრთხიდა და არას ჰზოგავდა, ოღონდ კი იმის შვილებს სწავლა მიეღოთ. სწავლა თუ გვიშველის, ეს-ღაა ერთად-ერთი ჩვენი მხსნელიო, ამბობდა ირაკლი. ამიტომაც თავისი შვილები ვაჟები და ქალები განათლების გზაზედ დააყენა და პირადს სიამოვნებას და განცხრომას ამ განათლებას ანაცვალებდა. სამწუხაროდ, ესეთი ამბავი იშვიათია ჩვენს თავად-აზნაურობაში. ამისთანა ღირსეულ ქართველს საზოგადოება არ დაივიწყებს და იმის გვამს შავი მიწაც კი ტკბილად ჩაიხუტებს. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კარგო და პატიოსანო ქართველო.!

ლ. ხ—შვილისა.

# დეპეშა

(რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

**პენზა.** ხელმწიფე იმპერატორმა პენზაში ყოფნის გამო კეთილ ინება და უმაღლესად უბოძა 3000 მ. მისი უდიდებულესობის სახელი პენზის ღარიბ მცხოვრებთათვის შემწეობის დასანიშნავად.

**ტოკიო.** (რეიტერის სააგენტო). იაპონიის სინდიკატის შუამდგომლობა ხეტყის საქმის წარმოებაში დიდი პრივილეგიის მიღების შესახებ კორეიაში მედგარი წინააღმდეგობა აღმოუჩინა საზოგადოებამ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ, მის თანახმად, უარჰყო იაპონიელთა შუამდგომელობა და მონოპოლია გადაეცა ადგილობრივ საზოგადოებას, რომელიც სწრაფად შესდგა კორეიის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფის იტოხაის ხელმძღვანელობით.

**აჯიკენტი.** გუბერნიის გამგე ანდრეევი ივლისის 4, საღამოხანს, როდესაც გუბერნიის ადმინისტრაციის საზაფხულო სოფელ აჯიკენთში სეირნობდა, მოკლულ იქნა ქვემო აჯიკენტიდან ზემო აჯიკენტის მიმავალ გზაზე, საგუბერნიო სამმართველოს სახლთან. ჯერ ისევ სინათლე იყო. კვირა დღის გამო დიდძალი ხალხი სეირნობდა ზოგი ქვეითად, ზოგიც ეტლებით, 30 ნაბიჯის სიშორეზედ მუზიკის ორკესტრი მიდიოდა როტონდისაკენ. მკვლელი უკანიდან მიუახლოვდა და ზედი-ზედ ექვსჯერ ესროლა ზურგში. პირველ სროლისვე შემდეგ ანდრეევი მუხლზე დაეცა და თავში იტაცა ხელები. დანარჩენი ხუთი ნასროლი წაქცეულს მოხვდა. მაშინათვე გადაიცვალა. ტყვიამ წაუხდინა ყელის და მარცხენა მხრის უდიდესი სისხლის მილები. მაშინათვე მიწვეულმა ექიმმა მალიუჟენკომ სიცოცხლის ნიშნები ვერ აღმოუჩინა. მაშინათვე მოვიდნენ იქ, სადაც ეს ავაზაკობა მოხდა, პროკურორი და სასამართლოს მიახლენი. გაშინჯვის შემდეგ გვამი გადაიტანეს მის სადგომში. ცოლ-შვილი მიცვალებულისა აქ არ არის, კავკასიის წყლებზედ იმყოფება. მკვლელი მოკლე გზით გაიქცა ქვემო აჯიკენტისაკენ და გზა-გზა რევოლვერსა სტენდა. ბევრმა დაინახეს და გამოუდგნენ კიდეც, მაგრამ ვერ დაეწივნენ. ფიქრობენ, რომ მკვლელი სომეხია. ღამე შეიპყრეს ერთი კაცი, რომელზედაც დიდი ეჭვი აქვთ აღეიული. ეს ავაზაკობის მოურიდებლობა გასაოცარია. აღელვება საყოველთაოა.

6 ივლისი.

**პეტერბურგი.** გენერალ მიშჩენკოს, როგორც ცნობებიდგანა სჩანს, 26 ივნისს შეტაკება ჰქონია იაპონელებთან სიანხატუნის ჩრდილო აღმოსავლეთად, ოთხის ვერსის სიშორეზე. იაპონიის რაზმი ლიდალინის უღელტეხილსა და ერლდგოუდგან მოდიოდა. ჩვენი რაზმი შეებრძოლა და სიანდაუმდე მივიდა. ჩვენ დაგვიჭრეს ორი აფიცერი და 19 დაბალი ჯარის კაცი. აღმოსავლეთის რაზმში ცვლილება არა არის-რა. ყოველ დღე მცირე შეტაკებაა.

**ბაქო.** თეირანიდგან დეპეშა მოვიდა, ხოლერა საშინლად ვრცელდებაო. ევროპიელები ქალაქიდგან გარბიან. გარდაიცვალა «კავკაზ და მერკურის» საზოგადოების აგენტი. ევროპიელები თვის ქონებას უპატრონოდ სტოვებენ. თეირანიდგან მოსულები ამბობენ: ზოგჯერ დღეში ცხრაასამდე კვდებოდა და ქუჩებში მკვდრების აღებას ველარ ასწრობდნენო. მენჯილში 5 დღის კარანტინი დააწესეს, იქიდგან თეირანამდე 240 ვერსია; ესეთი კარანტინი ენზელსაც დააწესეს. კარანტინში ყოფნა საშინელებაა: ცას ქვეშ, მიწაზე, თითქმის უსაზდოოდ. საქონელი დაუბრკოლებლად გააქვთ. საჭირო-კია მოისპოს, რომ ხოლერა რუსეთში არ გადაიტანონ. ბრძანება გამოვიდა დაიხუროს ასტრახნის საზღვარი ხმელეთით, რომ მგზავრები და საქონელი აღარ გაატარონ. ჯულფშიც კარანტინი დააწესეს. თავრიზიდგან ევროპიელები მთებში იხიზნებიან.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.). ანდუში მყოფი გაზეთ „ჩიკაგოს დეილი ნიუსის" კორესპონდენტი ჩიფუზე გამოგზავნილ დეპეშით იუწყება, აქ დაბეჯითებით ამბობენ, ადმირალი ტოგო გარდაიცვალაო.

**ტოკიო.** (რეიტერის სააგ.). კუროკის მოხსენება გამოუგზავნია, გუშინ გათენებისას რუსების ორმა დივიზიამ იერიში მოიტანა მოტიენლინის უღელტეხილზე. დანაკარგზე არას იუწყება.

იაპონელების ნაღმოსანმა «ზოიატორიმ» ნავი შეიპყრო, რომელსაც ფოსტა მიჰქონდა პორტ-არტურიდგან ჩიფუს. წერილები, რაც კი სამხედრო მდგომარეობასა და პორტ-არტურის მეზღვაურთა ძალას შეეხება, სულ ჩამოართვეს. იაპონელებმა მრავალი საჭირო და გამოსადეგი ცნობები მიიღეს. წერილები, რომლებიც ამას არ შეეხებოდა, პეტერბურგს გაგზავნეს.

**კიევი.** დილის 7 საათზე დაბრუნდა გენერალ-გუბერნატორი კლეიგელსი. დილის 10 საათსა და 20 წუთზე მობრძანდა დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე, გენერალ-გუბერნატორი და სამხედრო ოლქის ჯარის უფროსი გენერალი გორბაცკი ინახულა და შემდეგ კიევის სამხედრო სასწავლებლის დასათვალიერებლად წაბრძანდა.

**პუკდენი** (მიღებულია 5 ივლისს). იაპონიის წყაროებიდგან ახალი ცნობები მოვიდა, რომლითაც მტკიცდება, რომ 27 ივნისს იაპონელებს იერიში მიუტანიათ პორტ-არტურზე და პირველად გაუმარჯვნიათ, მაგრამ შემდეგ უკუ-ქცეულან და ძალიან დაზიანებულან. მტრის მოგერებაში რუსის ჯარს ფლოტიც დახმარებია.

**როსტოვი-დონისა.** 5 ივლისს ყველა დასნი, მოწოდებულნი ნამდვილ სამსახურში ფლოტის მეზღვაურთა სათადარიგო ჯარიდან, გაეშურნენ სევასტოპოლს.

**აჯიკენტი.** 5 ივლისს შეიპყრეს კიდევ ორი საეჭვო კაცი, რომელთაც ჰბრალდებათ ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მოკვლა. გუშინ-ღამ შეპრობილი, რომელიც ამბობს, სპარსეთის ქვეშევრდომი ვარ თავრიზიდანა, იცნო პოლიციელმა,

---

| | შემოს. | ხარჯი (*) |
|---|---|---|
| 1897 წ. | 52 მილ. | 44 |
| 1898 წ. | 102 მილ. | 70 |
| 1899 წ. | 110 მილ. | 76 |
| 1900 წ. | 117 მილ. | 87 |
| 1901 წ. | 163 მილ. | 124 |

მას შემდეგ, რაც ქვეყნიერებაზე არყით ვაჭრობაა გაჩენილი, ასეთი დიდი მოგება, თუ არ ვცდებით, ჯერ არც ერთს კერძო ვაჭარს არა ჰქონია და ეს, რასაკვირველია, უმრავლესობას ჰხდება ძალზე აწეულ ფასით, რუსეთის გლეხკაცობას, რომელიც ოტკაზე, როგორც ვიცით, ძლიერ მწყრალად არაა (მარტო რუსეთის ევროპიულ ნაწილში 50 მილიონი ვედრა ილევა წელიწადში).

ტყეების შემოსავალსაც (56 მილ. 1901 წელს), რაღა თქმა უნდა, უმეტეს ნაწილად ისევ გლეხ-კაცობა იხდის. ასეთია ეს მესამე რიგის შემოსავალი; სახელით ბევრი რამაა შიგ მოყოლებული, ნამდვილ სახრავს კი გლეხ-კაცობა იძლევა.

გადავიდეთ ახლა პირველ რიგის შემოსავლებზე, — პირდაპირ გარდასახადებზე (1901 წ.).

| | |
|---|---|
| 1.— გარდასახადი უძრავ მამულებზე და მიწებზე . . | 44 მილ. |
| გარდასახ. მრეწველობაზე და ვაჭრობაზე გაწერილი. | 68 მილ. |
| გლეხების მიერ «ნადელების» შესყიდვა. . . . | 90 მილ. |
| ბაჟი კერძო მამულების გაყიდვაზე. . . . . | 23 მილ. |
| ღერბების და სამოსამართლო . . . . . . | 42 მილ. |
| გარდასახადი ბანკებში მიბარებულ ფულებზე. . | 17 მილ. |
| სხვა წვრილმანი . . . | 31 მილ. |
| ს უ ლ. | 315 მილ. |

ამ პირდაპირ გარდასახადებში ჩვენ ვანგარიშობთ გლეხების მიერ «ნადელების» შესყიდვასაც, თუმცა სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში ამას ცალკედ ანგარიშობენ, ვითომც სახელმწიფო ვალის გადახდას, ბატონ-ყმობის გაუქმებაზე გლეხკაცობას ნება მიეცა შეესყიდა ბატონისაგან ზოგიერთი ნაწილი (ნადელი) მიწებისა, რათა უმიწაწყლოდ მთლად არ აოხრებულიყო; და რადგან გლეხ-კაცობას საამისო ფული არ გააჩნდა, ამიტომ მთავრობა ძალაუნებურად უნდა მიშველობოდა ამ გაჭირებაში: ერთის მხრით მებატონეებს შეჰპირდა, ხაზინიდამ მოგცემთ ნაწილნაწილად მიწების ფასსაო, მეორეთ-კი გლეხობას დააკისრა დიდი ხნის ვადით შესყიდულ მიწებზე ვალის გადახდა ნაწილ-ნაწილად· ამ რიგად მთავრობამ შუაკაცობა გასწია გლეხკაცობასა და მებატონეებს შორის; გამოდის, რომ გლეხობა თითქო ვალს იხდიდეს შეძენილ სახნავ-სათესზე. ფორმით ეს ასეა. საქმით კი სხვაა: გლეხკაცობას მიწები ძვირად შესასყიდვინეს, მოსავალი ხშირად არ მოდის, ფასიც არა აქვს; ამიტომ გლეხ-კაცობა ვალს ვერ იხდის, «ნედოიმკებში» იხრჩობა, ვალი უვადოა, დაუსრულებელი. გამოდის, რომ მთავრობას თითქოს შეუსყიდია მებატონეების მიწები და იჯარით გაუცია სამუდამოთ გლეხ-კაცობაზე. გარდა ამისა სამართალიც სხვა-გვარად სჭრის აქ: როდესაც ბატონყმობა რომ გაჩნდა, მებატონემ გლეხებიც დაისაკუთრა და მათი მიწებიც, ამიტომ გლეხების განთავისუფლება მიწების ჩამორთმევით უნდა ცომხდარიყო, რომელიც მათ შორის უნდა დანაწილებულიყო უფასოთ. ამ ნადელების შესყიდვაში გლეხ-კაცობას გამორთმევია:

| | | |
|---|---|---|
| 1897 წ. | 88 მილ. | 518 ათს. |
| 1898 წ. | 86 მილ. | 152 ათს. |
| 1899 წ. | 95 მილ. | 496 ათს. |
| 1900 წ. | 96 მილ. | 230 ათს. |
| 1901 წ. | 89 მილ. | 970 ათს. |

მას შემდეგ, რაც გლეხ-კაცობა განთავისუფლდა, აქამომდე ათას მილიონ მანეთზე მეტი შეუტანია ხაზინაში. როგორც ვხედავთ მეორე რიგის შემოსავლებიდამ, გარდასახადი ერთმევა ვაჭრობას და საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობასაც; მაგრამ რა სამძიმო უნდა იყოს ეს რაღაც 68 მილიონი ვაჭრობა-მრეწველობისათვის, რომლის წმინდა წლიური მოგება 500 მილიონამდის ადის!

ასეთია ეს სამართლიანი განაწილება გარდასახადებისა, რომელიც ამ ორის რიგის შემოსავლებში გამოიხატება. განვიხილოთ ახლა მესამე რიგი,—ბაჟები გასასყიდ საქონელზე.

ამ ორმოციოდე წლის განმავლობაში ამისი შემოსავალი ამ რიგად იზრდებოდა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1867 წ. | 187 მილ. | 1898 წ. | 634 მილ. |
| 1877 წ. | 272 მილ. | 1869 წ. | 669 მილ. |
| 1887 წ. | 401 მილ. | 1900 წ. | 658 მილ. |
| 1897 წ. | 596 მილ. | 1901 წ. | 686 მილ. |

ამ უკანასკნელ წლის (1901 წ.) შემოსავალი განაწილებული იყო ამ გვარად:

| | |
|---|---|
| სასმელების *). . . . | 312.871,000 |
| თამბაქოსი. . . . | 45.705,000 |
| შაქრისა. . . . . | 71.754,000 |
| ნავთისა. . . . . | 28.679,000 |
| წუმწუმის (სპიჩკა) . | 7.929,000 |
| დამოჟნების . . . . | 219.690,900 |
| ს უ ლ. | 686.630,000 |

ყველაზედ საყურადღებო ამაებში, როგორც ვხედავთ, სასმელების შემოსავალია; ამოდენა წმინდა შემოსავალს არარა იძლევა მთელ ბიუჯეტში. პირდაპირ გარდასახადებს, რომლებშიც ჩვენ «ნადელების» შესყიდვაც ჩავთვალეთ, ეს სასმელების გარდასახადი, 312 მილიონი, თითქმის რომ უდრის. მთელ სახელმწიფო შემოსავალს რკინის გზების შემოსავალი, რომ გამოვაკლოთ (ნამდვილად ზარალი მოაქვს), დარჩება 1,421 მილიონი 1,799—378). სასმელების შემოსავალი ამ ფულის თითქმის ერთი მეოთხედია. ერთს რუსულს გაზეთში ამის შესახებ სამართლიანად ითქვა, რომ питейный доходъ составляетъ, можно сказать, основу нашего бюджета; ჭკუასთან ძლიერ შორს არ იქმნება, რომ ითქვას, ეს შემოსავალი დედა ბოძია არამც თუ ბიუჯეტისა, არამედ მთელ სახემწიფოსი, რადგან დაახლოვებით სასმელების შემოსავლის ოდენა ეხარჯება ყოველ წლივ ჯარის შენახვაზედ (334 მილ.). ასეთი დიდი მნიშვნელობა ჰქონია არყის აქციზს და სამიკიტნოების პატენტებს... 1894 წ. ფინანსთა მინისტრი სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვაში სასმელების შემოსავლის სიდიდეს ჰხსნიდა „значительнымъ улучшеніемъ экономическихъ условій Россіи"...

ამ 686 მილ. 630 ათას მანეთს, რომელსაც იძლევა ბაჟი, დაწესებული სასმელებზედ, თამბაქოზედ, შაქარზედ, ნავთზედ, წუმწუმაზედ და უცხოეთიდამ შემოტანილ საქონელზედ, იხდის უმთავრესად რუსეთის უმრავლესობა, გლეხკაცობა, რადგან ამ სახმარ საქონელს გამყიდველი მით უფრო ძვირად ჰყიდის, რაც უფრო მეტი ბაჟი ედება მას; ამ გვარად ბაჟს იხდის ხაზინის სასარგებლოდ მომხმარებელი და არა გამყიდველი. ამიტომაცაა, რომ ამ ხაზინის შემოსავალს «არა პირდაპირი» გარდასახადი ეწოდება. იგივე ითქმის სადამოჟნო შემოსავალზედაც: საზღვარ-გარედამ შემოტანილი საქონელი მით უფრო ძვირად უჯდება მომხმარებელს, რაც უფრო მეტი ბაჟი ედება საზღვარზედ. გამოანგარიშებულია დაახლოვებით ის, თუ რას იხდის რუსეთში ყოველ წლივ ხაზინის სასარგებლოდ თითო გლეხის სახლობა; ვსთქვათ, რომ ერთი წლის საცხოვრებლად ეს სახლობა 400 მანეთს ხარჯავს; საშუალო რიცხვით მას ეხარჯება წლის განმავლობაში არაყზედ 29 მან., ამ ფულიდამ 21 მან. ხაზინაში მიდის, 8 მან. კი გამყიდველსა რჩება; შაქარში ეხარჯება 27 მან.; აქედამ ხაზინაში მიდის 7 მან.; ჩაიში—21 მან., ხაზინას ამის ნახევარი; ნავთში—$4\frac{1}{2}$ მან., ხაზინაში—$1\frac{1}{2}$ მან.; თამბაქოში $1\frac{2}{3}$ მან., ხაზინაში—30 კაპ.; წუმწუმაში —65 კაპ., ხიზინას—21 კაპ. სულ ეს არა პირდაპირი გარდასახადი, ხაზინის სასარგებლოდ გამოღებული, შეადგენს 40 მანეთზედ მეტს, ე. ი. 10%-ს გლეხის სახლობის წლიურ ხარჯისას (400 მან.). პირდაპირი გარდასახადი კი ადის 20 მანეთამდინ საშუალო რიცხვით. ამ გვარად 400 მანეთის დახარჯვაში გლეხი 60 მანეთს ხაზინის სასარგებლოდ იხდის ყოველ წლივ, ან 5 მანეთს თვეში. მივუმატოთ ამას ერობის გარდასახადი (земскій сборъ), ხშირი მოუსავლობა ჭირნახულისა, და ნათლად წარმოვიდგენთ გლეხკაცის გაჭირებას.

ასე გროვდება რუსეთის სახელმწიფო შემოსავალი, რომელიც 1902 წელს 1 მილიარდი 802 მილიონამდინ ავიდა. როგორ იხარჯება ეს ფული, სახელმწიფოს რომელ საჭიროებაზე მიდის ეს მილიონები, წვითა და დაგვით გამოცემული? აი როგორ და რაზე იხარჯება ეს ფული:

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ვალში . . | 290.288,000 მ. |
| ჯარი და ფლოტი . . | 443.525,000 მ. |
| სამეფო სასახლე. . . . | 17.527,000 მ. |
| სასულიერო უწყება . . | 28,164,000 მ. |
| შინაური მართვა-გამგეობა | 144.505,000 მ. |
| არყის ვაჭრობა, რკინის გზები და სხვ. . | 823.869,000 მ. |
| სწავლა-განათლება . . | 36.770,000 მ. |

ა. კვერ—ძე.

(დასასრული იქნება)

---

*) ამ ხარჯში ჩვენ არ ვანგარიშობთ ხარჯს на подготовительныя работы по введенію и распространенію винной монополіи (1901 წ.—$20\frac{1}{2}$ მილ.; 1900 წ.—24 მილ.); და რომ ვიანგარიშოთ კიდეც, წმინდა მოგება მაინც კარგია.

*) ამაში ითვლება აქციზი არაყ-სპირტებზე და აგრეთვე პატენტების შემოსავალი.

რადგან უკან გამოეკიდა დასაჭერად ბოროტ-მოქმედების შემდეგ. ეს კაცი დიდს ეჭვს იწვევს, ყოვლად გაუქარწყლებელს. გამოძიება მხნედ სწარმოებს. იმედია, ბოროტ-მომქმედნი აღმოჩენილ იქმნებიან. ყველა შეპყრობილნი სომეხნი არიან.

**ადენი.** (რეიტ. სააგ.). კერძო ფლოტის გემმა «სმოლენკმა» შეიპყრო მეწამულს ზღვაში ინგლისის გემი «სპარსეთი» ამ გემს გადაეცა წერილები, რომელიც იყო გემ «პრინც ჰენრიხზედ». რუსთა გემმა დაიტოვა მხოლოდ ორი ჩანთა წერილებისა, რომელიც ნაგასაკშია გაგზავნა.

**ბერნი.** შვეიცარიის სამხედრო აგენტების უკან გამოწვევის შესახებ რუსთა უმთავრეს ბანაკიდან, სამხედრო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ოფიციალური მოხსენება. ამ მოხსენებაში პოლკოვნიკი ოდეუ გადაჭრით ამბობს უარს, არავითარი რუსთა ლაშქრისათვის საწყენი მსჯელობა არ გამომითქვამსო, ალბად გაუგებრობა რამ მოჰხდაო.

**ვაშინგტონი.** «მორნინგ პოსტი» იუწყება, რომ პორტ-არტურზედ იერიშით მისვლა ამ ახლო ხმნში არ მოხდებაო. ოიამა თვით გაუწევს ხელმძღვანელობას იერიშის მიტანას და იმავე დროს დაეცემა გენერალ კუროპატკინსაო. ამბობენ, რომ ოიამა გადავიდა ხმელეთზედ დალნიში და თან გადაიყვანა ორი დივიზია, რიცხვით 30,000 კაციო. გარშემოდგმულთა ჯარის რიცხვი 80,000 კაციაო.

**ტოკიო.** კუროკი იუწყება ოფიციალურად, რომ 4 ივლისს დილის 3 საათზედ გენერალმა კელლერმა შემოგვიტია მოდულინის უღელტეხილზედ ორის დივიზიითაო. იაპონელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და უკუ აქციეს რუსნი. ირკვევა, რა ზარალიც მოუვიდა ჯარს.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობის სახელზე 4 ივნისით:» აღმოსავლეთ ფრონტზე, როდესაც კუროკის ლაშქარმა დაიჭირა ფენშულინის გარდასავალის მთაგრეხილი, საკმაო ცნობები არა გვქონდა საზოგადოდ მტრის ძალისა და მგომარეობის შესახებ. ზოგიერთის ცნობებით ლაშქარი გაძლიერდა და კუროკიმ შეიმატა ნაწილი საიმაძის ჯარისა, სხვა ცნობებით, ვითომ წინსვლა იყო ჯარებისა დალინის გადასავლისა და სიუიანისაკენ. მოგვივიდა ცნობა, ვითომ უმთავრესი სადგომი კუროკიმ გადაიტანა ახასეგოუდან ტუიანას. თანდათანობით შეკრებილი ცნობებით და დაზვერის დაგვარად ის დასკვნა გამოვიყვანეთ, რომ მტრის უმთავრესი ძალა იყო ლიანშანგუანის მიდამოებში, ავანგარდები კი სიაოკალინის, უფანგუანის, სინკალინის, ლახოლინის და პაპანლინის გადასავლებზე იდგა, აგრეთვე სიბეილინის გადასავალზე. 4 ივლისს მტრის ძალის გასაგებად წინ წავიწიეთ ლიანშანგუანისაკენ. გენერალს გრაფს კელლერს ებძანა, ნუ გამოუდგება გადასავლების აღებას, არამედ იმოქმედოს მტრის ძალის მიხედვით. მარცხენა ფრთა, რომელშიაც 3 ბატალიონი იყო, გაიგზავნა სიბელინის გადასავალთან, შუა ფრთა გენერალ-მაიორის კაშტალინსკის უფროსობით, ესე 14 ბატალიონი 12 ზარბაზნით, დაინიშნა სიალკაოლინის გადასავალზე, სიმაღლეებზე და უფანგუნის გადასავალზე იერიშის მისატანად; მარჯვენა ფრთას, ერთ ბატალიონიდან შემდგარს, უნდა დაეჭირა ჯვარედინი გზა, მიმავალი სინკაილოდან და დახოლინიდან და მით შეემაგრებინათ გენერალ კაშტალინსკის მარჯვენა ფრთა. მისაშველებელი ჯარი დავაყენეთ ტხაუანთან. 10 საათზე საღამოთი, 3 ივლისს, ჯარის თავმა გაიარა ტხაუანი; 3 ივლისს, საღამოს 11 საათზე ხიშტებით უკუ აქციეს იაპონელთა დარაჯი ლახოლინის და სინკეილინის უღელტეხილებთან. ამ ბრძოლის დანარჩენი ამბავი ჯერ არა რის გამორკვეული, მაგრამ საზოგადოდ, თანხმათ გენერალი გრაფ კელლერის მოხსენებისა, საქმე ასე ყოფილა: გადასავალნი საკერპოებით და სიაოკალინი იაპონელებმა ღამე მიატოვეს და დასტოვეს სადარაჯო რაზმი. გენერალ კაშტალინკის რაზმმა დაიჭირა ეს უღელტეხილები და მივატოვებინეთ იაპონელებს სადარაჯო ადგილები. ასე $5\frac{1}{2}$ საათზე დილით, 4 ივლისს, იაპონელებმა ძრიელის რაზმით და მრავალის არტილერიით აიღეს უფანგუანის უღელტეხილი და მთის კალთები იმის სამხრეთად, გენერალი კაშტალინსკის ფრთისაკენ. ამ პოზიციიდან მტერმა საშინელი თოფისა და ზარბაზნის სროლა ასტეხა. გენერალმა კაშტალინსკიმ ჯერ ერთი ბატალიონი გაჰგზავნა მთის დასაჭერად, მერე სამი ბატალიონი, მაგრამ ცდამ ფუჭად ჩაუარა. ასე დილის 8 საათზედ, გენერალმა გრაფმა კელერმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა ბრძოლასა, საჭიროდ დაინახა გადასულიყო კაშტალინსკისთან, და გაგზავნა კიდევ საშველ ჯარიდან სამი ბატალიონი, რომ პოზიციებზე შემაგრებულიყვნენ. რადგანაც მტერი ერთობ მძლავრად მოგვაწვა, საჭირო გახდა კიდევ მაშველი ჯარის გაგზავნა, მაგრამ ის პოზიციები კი აგრერიგად ხელსაყრელნი არ იყვნენ. როდესაც გენერალი გრაფი კელლერი წინა ჯარში მოვიდა, შეატყო, რომ მტრის ძალა ერთობ სჭარბობდა ჩვენსას, ამიტომ გადასწყვიტა, აღარ განეგრძელებინა ბრძოლა, უფრო იმიტომ, რომ იერიში არ შეიძლებოდა უარტილერიოდ. ამიტომ გენერალმა კელლერმა $10\frac{1}{2}$ საათზე დილით გადასწყვიტა წაეყვანა ჯარი ადრინდელ პოზიციაზე იანზელინის უღელტეხილისაკენ. ჯარები წავიდნენ მძიმე-მძიმედ, სრულის წესიერებით, საბარო არტილერიის მფარველობით. შუადღისას დავატყეთ, რომ მტერი წამოვიდა იანზელინის პოზიციის მარჯვენა ფრთისაკენ, ამ დროს სოფელ ჩუდიაპუძთან, 4 ვერსზე სამხრეთად თხავუანიდან, აიყარა იაპონიის სამთო ბატარეა, რომელმაც 34-ჯერ გაისროლა და მერე იძულებულ იქმნა გაჩუმებულიყო. ნაშუადღევის სამს საათზე ბრძოლა გათავდა და ჯარები თხავუანს დაბრუნდენ. იაპონელთა წინსვლა შევაყენეთ მდინარე ლანხეს ხეობის წინ. უძილობისა და პაპანაქება სიცხიან დღის გამო ჩვენი ჯარები დაიქანცნენ, რადგან 15 საათს ფეხზე იდგნენ. ზარალი დანამდვილებით არ ვიცით, მაგრამ გენერალი კელლერი იუწყება, რომ ზარალი 1000 კაცს აღემატებაო, უფრო დაზარალდა 24-ე პოლკი. გენერალი კელლერი აღნიშნავს საკვირველ მხნეობას, ვაჟკაცობას და უდრტვინველობას მე-24-ე პოლკის უფროსი პოლკოვნიკ ლეჩიცკისას და ელეცის პოლკის უფროსის პოლკოვნიკის პორაიკოშიცისას; ეს უკანასკნელი მძიმედ დასჭრეს ფეხში, მაგრამ ბრძოლის გათავებადე დარჩა თავის ადგილზე.

**პეტერბურგი.** 5 ივლისს, საღამოს ექვსს საათზე, საიმპერატორო მატარებლით, ხელმწიფე იმპერატორი წაბძანდა პეტერგოფიდან იმ ადგილას, საიდანაც ჯარები მიდიან შორეულ აღმოსავლეთს.

6 ივლისი.

**ლიაოიანი.** 5 ივლისი (საკუთ. კორ.). დამტკიცებით-კი დამტკიცებული არ არის, მაგრამ ძალიან მხნედ დაწერილი კორესპონდენცია-კი მოვიდა პორტ-არტურიდან. არტურელები დიდად ენდობიან თავიანთ უფროსს გენერალ სტესსელს. იმისი მხნეობა და რწმენა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთო, მხნეობის სულს უდგავს მეციხოვნეთა ყველა ჯარებსა და მცხოვრებლებს. მეთაური მებრძოლი გენერალი ფოკი პორტ-არტურის წინა სანგრებთანა სდგას ამ ჟამად და მხნედ უმკლავდება იაპონიის ჯარების ზედ-მოტევებას. ამ გამკლავებით დიდად აბრკოლებს პორტ-არტურის მტრის ჯარებით გარ-შემოდგომას. გენ. კონდრატენკოს შრომით ციხე დღითი-დღე ძლიერდება. აგებენ ახალ სიმაგრეებს. ამ გენერლების ერთობილმა მოქმედებამ პორტ-არტური მიუვალ ციხედ გადააქცია. ყოველივე კეთილ-საიმედოდ არის იქ.

**ლონდონი.** (რეიტ. სააგ.) სანავოსნო საზოგადოება «ფრ. ორიენტ.»-ე უარჰყოფს, მეწამულ ზღვაში რუსთაგან შეპყრობილ გემზედ «მალაკაზედ» არ იყო იარაღი, იაპონიისათვის დანიშნულიო. შეპყრობილი გემი წესისამებრ დადის ლონდონსა, ჩინეთსა და იაპონიას შორის, გადააქვს საქონელი და გადაჰყავს მგზავრნი. როგორც ჩვენი სხვა გემნი, «მალაკაც» ჰზიდავს ინგლისის მთავრობის ტვირთს. ახლაც მისი ტვირთი ჰქონდა, ჰონკონგში მისატანად დანიშნული. პეტერბურგის ქალაქის მოურავი გრაფმა ბენკენდორფმა წარუდგინა ინგლისის მეფეს, მერე მეფემ თვით ელჩიც მიიღო.

**ადენი.** (რეიტ. სააგ.). გემი «სპარსეთი» დააკავეს სამს საათსა. კაპიტანს მოსთხოვეს ფოსტის პაკეტები, რომელიც იაპონიაში გასაგზავნად იყო დანიშნული; იმან უპასუხა, გემზედ იმისთანა წერილები არ არისო. ინგლისის გემები «ვუდკოკი» და «დალმაციაც» აგრედვე სამს საათს დააკავეს, შემდეგ გაუშვეს. გემის «პეტერბურგის» კაპიტანმა გემი «ვაიპარის» კაპიტნის შემწეობით სიტყვიერად შეატყობინა ინგლისის რეზიდენტს ადენში, დეპეშით აცნობეს ბრიტანიის კონსულებს პორტ-საიდსა და სუეცს, რომ გემი «პეტერბურგი» დააკავებს ყველა ინგლისის გემებს, შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალებს, იმ შემთხვევაში, თუ პაკეტების შინაარსა ცხადად არ იქმნება აღნიშნული ქაღალდებზედ, თანხმად საერთაშორისო უფლებისა.

**სოფია.** (ოპოზიციის ცნობებით). ბულგარიის წითელი ჯვრის საზოგადოებისაგან გამართულმა დღესასწაულმა რუსთა დაჭრილთათვის ბრწყინვალედ ჩაიარა. წმინდა შემოსავალი 5 ათასი ფრანკი იყო. —საბერძნეთის პატრიარხმა შეამზადა პორტასა და დიდთა სახელმწიფოთა სახელზედ მოხსენება ვითომ ბულგართაგან ბოროტ მომქმედებისა ბერძენთა წინააღმდეგ მაკედონიაში.

**ჰამბურგი.** აქ მოსული ინგლისის გემი «ირონდელი» გზაში ლონდონიდან ჰამბურგისაკენ დასტაკებია ინგლისისავე ნაღმის მმუსვრელს «ხოოტის» და დიდად დაზიანებულა. არავინ დამხრჩვალა. შეხლა ნავსადგურ გარვიჩის წინ მომხდარა. ნაღმოსანი თრევით გამოუტანიათ ნაპირს. ხალხი გაადაარჩინეს.

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

6 ივლისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46,00 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,55 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | $37,52\frac{1}{2}$ |
| ბირჟის დისკონტი | $6—7\frac{1}{2}\%$ |
| 4% სახელმწიფო რენტა | $92\frac{1}{2}$ ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა | 88 გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მოგ.-ბილ. 1864 წ. | 387 ნ. ს. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ. | $300\frac{1}{2}$ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. | 262 ნის. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| $4\frac{1}{2}\%$ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | $83\frac{1}{4}$ წვ. გაყ. |
| $4\frac{1}{2}\%$ ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. სადგ. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი


ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალთა ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განკოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

**НАРОДНАЯ МЕДИЦИНА**

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).

# საუკეთესო საგარაკო ადგილები
# ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

# ისყიდება

იაფად და სელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)

ს.-პეტერბურგის კომპანია

# „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსდ ულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| მარითადა თანხა | 1.650.000 მან. |
| სათადარიგო თანხ | 2.664.808 მან. |

დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ღირჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა ფულისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს.-პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—42)

ვისაც კი გსურთ აიცილოთ გაქურდვა და მშვიდებული იყვეთ **იყიდეთ**, მარტო 4 მან. 90 კაპ., საიუდამო, უკეთესად შემუშავებული ავტომატიური ხმაურობის გამომწვეველი აპარატი „**ენდოლიანსი**“, მოწონებული ფინანსთა სამინისტროს მიერ № 13,884.

შეგიძლიანთ დაჰკეტოთ ყოველ გვარი სადგომი და საწყობი, ისინიც კი, რომლებიც იმყოფებიან თქვენგან მოშორებით. შეგიძლიანთ აგრეთვე წახვიდეთ სადმე დულ-გამშვიდებული, რომ არ გეშინოდეთ ქურდებისა. „**ენდოლიანსი**“ აძინებს როგორც შიგნით, ისე გარეთ მყოფთაც. რაწამს დაუპატიჟებელი სტუმარი შეხებე კარებს, ფანჯარას ანუ კარებს გასაღებად, აპარატი „**ენდოლიანსი**“, გარედგან შეუმჩნეველი, გამოიწვევს საშინელ ხმაურობას, მარტო თოფის წამლის აფეთქებით, საშიში არ არის. ხმაურობა ისმის სადგომის შიგნითაც და გარეთაც და აგრედვე შორ მანძილზედაც. თუ სადგომის პატარა ზარს შეაერთებთ აპარატთან, მაშინ აპარატის ხმაურობასთან ერთად ზარი დაიწყებს წკარუნს, რომელ სადგომშიაც უნდა იყოს, და არ შეჩერდება ვიდრე სახლის პატრონთაგანი ვინმე ერ შეაჩერებს.

„**ენდოლიანსი**“ საჭიროა საყდრებისა, სახლებისა აგარაკებში, მაღაზიებისა, ბეღლებისა, ჩარდახებისა, სარდაფებისა, მარნებისა, თავლებისა და სხვა სადგომების გაქურდვისაგან დასაცველად. როგორ ადგილშიაც უნდა იყოს სადგომი, სულ ერთია. ეს აპარატი მაგარი ნამუშავარია და ყველას ადვილად შეუძლიან იხმაროს.

ფასი გაგზავნით: ნიკელ გადაკრული აპარატი ჰყირს 4 მან. 90 კაპ., შევერცხლილი—5 მან. 60 კაპ.; ფასს დაღებით 10 კაპეიკით მეტი ჰღირს, აზიის რუსეთში კი 30 კაპეიკით მეტი. ვინც ციმბირში გაიწერს, უნდა გამოგზავნოს 2 მანეთ. შეიძლება ფოშტის მარკებით.

მსურველთ მოითხოვონ ამ ადრესით: Т-во „Эндолянъ“. Варшава, Милая 37/105.

განსაკუთრებითი ნაწარმოებია.

(5—6—)

Feriencolonien. Colonie des vacances

„პატარა-ცემი“-ს

# საზაფხულო სამყოფი
# ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
# მოზარდ ქალ ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონივრება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთაადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე:**
15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)



Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинарій